



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერწუხი

ერწუხი, ერტოხი, გეოგრაფიული ადგილი, ზუსტი მდებარეობა გაურკვეველია. ს. კაკაბაძის თვალსაზრისით აქ შეიძლება ერწოს (ივრის ხეობა) მიმდებარე მხარე იგულისხმებოდეს. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, ე. პერეთ-კახეთში იყო და ანინდელ ერწოსთან მისი გეოგრ. გაიგივება დასაშვები არ არის. ე-ში დავით აღმაშენებელი განძის ათაბაგს და მის მომხრე პერ-კახთ შეებრძოლა: „ქმნა წყობანი დიდი და ჭმა-გასმენილი იგი დიდი ძლევად” (იხ. ერწუხის ბრძოლა 1104).

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხეჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., დავით აღმაშენებლის დიდი ომი, «ქუთაისის პედ. ინ-ტის შრომები», 1942, ტ. 4; პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., პერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი